№ 218 ოქტომბერი 13, შაბათი 1890 ოქტომბერი 13, შაბათი № 218

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუციაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

კნ. მარიამ ზაქარიას ასული, მართა დავითის ასული, ეკატერინე ზაქარიას ასული ერისთავნი და დავით ზაქარიას ძე სარაჯოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას, მეორე შვილისას და მესამე სიძისას.

თავ. დავით გიორგის ძის ერისთავისას

მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ ნარიმანოვის სახლიდგან, რომელიც ბალის ქუჩაზე იმყოფება № 43 კალოუბნის ეკკლესიაში კვირას, 14 ოქტომბერს დილით 10 საათზე.

პანაშვიდი დანიშნულია შაბათს ნაშუადღევის პირველს საათსა და საღამოს 7 საათზე. (2—1)

ახალი ამბავი

*** ტფილისის რკინის გზის სადგურზე ახლა დიდი მუშაობაა: აკეთებენ ახალ რკინის-გზის ლიანდაგებს, რამდენსამე ქვის ხიდს და სხვ. რკინის გზის მმართველობას ამ სადგურის გასადიდებლად გადაუდვია ოცი ათასი თუმანი; ამას გარდა განჯის სადგურის ახალ შენობების ასაშენებლად რკინის გზის მმართველობას გადაუდვია 153,000 მანეთი. ამას გარდა ამ წლის დამლევს რკინის გზის მმართველობას მესამე მავთული გაჰყავს დეპეშისა და ამაზე ჰხარჯავს ხუთი ათას ხუთას თუმანს. ამავე წელს რკინის გზის მმართველობა ამაგრებს რკინის გზის [illegible] ნაპირებზედ, ბათუმსა და ფოთს ახლოს, და ამისათვის გადადებული აქვს ექვსი ათასი თუმანი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის ახალი ფარმაცევტების საზოგადოების წესდება უკვე დაუმტკიცებიათ.

*** ექვსის წლის პიანისტის ბავშვის რაულ კოჩალსკის პირველი კონცერტი დანიშნულია ოთხშაბათს, ამ თთვის 17. ამ ბავშვს ორი წლისას დაუწყია ფორტეპიანოზე დაკვრა იმ ღამეს, როდესაც დედ-მამას ოპერა ფაუსტის წარმოდგენაზე წაუყვანიათ თეატრში. იმ ღამეს ამ ბავშვს სულ აღარ დასძინებია, დედ-მამის ჩუმად როიალთან მისულა და უნოტებოდ დაუკრავს სხვა-და-სხვა ძნელ ნომრისა. ეხლა ამ ბავშვს ოც-და-ათი ათასი თუმანი აქვს ფულად და ამას გარდა მის იმპერატორებით უდიდებულესობას დაუნიშნავს მისთვის სიკვდილამდე პენსია 800 მანეთი წელიწადში.

*** ამ ორის კვირის განმავლობაში ტფილისში მოიტანეს ნიჟნი-ნოვგოროდიდგან ოც-და-ცხრა ათას ფუთზე მეტი სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონელი.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ერთი რუსეთის ფირმის წარმომადგენელი, რომელიც ყიდულობს საქართველოში ჩირად გამხმარ სხვა-და-სხვა ხილსა და მოსკოვში უნდა გაჰგზავნოს.

*** მერმის სპარსეთის ქალაქ თეირანში გაიმართება სამრეწველო გამოფენა; როგორც ამბობენ კავკასიელთაგანაც ზოგნი მიიღებენ მონაწილეობას ამ გამოფენაშიო.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ შეადგინა ჯამი შემოსავლისა და ზარალისა, რომელიც ჰქონდა გზას ამ თთვის პირველს. ამ დღეს რკინის გზის სადგურ მცხეთასა და ტფილისს შუა დადიოდა თორმეში მატარებელი, საფოსტო და სასახლო მატარებელს გარდა. სადგურს ტფილისსა და მცხეთაში ამ [illegible]ვე დღეს რკინის გზას ზარალი მოსვლია ოთხი ათას თუმნამდე, რადგანაც რკინის გზის ლიანდაგი დაჭერილი იყო და საგანგებო და საქონლის მატარებლები აღარ დადიოდა. ამბობენ, რომ რკინის გზის მმართველობა აპირობს სამერმისოდ მცხეთასა და ტფილის შუა მეორე რკინის გზის ლიანდაგი გააკეთოს, რათა რკინის გზას ერთს დღეში ამოდენა ზარალი აღარ მოუვიდესო.

*** სომხეთისა და საქართველოს ისტორის მცოდნეს ბ-ნ ალ. ერიცოვს აქვს ერთი მეტად საინტერესო სომხური წიგნი. ეს წიგნი დაბეჭდილია წარსულს საუკუნეს, ინდოეთში, ვინმე შამირისაგან. ეს ეგზემპლიარი მეფე ერეკლეს საკუთრება ყოფილა და ახლა ერიცოვს შეუძენია. წიგნის დამბეჭდი შამირა ინდოეთში სცხოვრებდა, სამასი მილიონი შეძლება ჰქონდა და უნდოდა, ამ ფულით ოსმალეთისა და სპარსეთისაგან საქართველო და სომხეთი გაენთავისუფლებინა, ფულით ეყიდნა და ამ ორის ქრისტიანის ერისაგან ერთი შეერთებული სამეფო შეედგინა, ხოლო მეფედ ერეკლე მეორე გამოეცხადებინა. ამის შესახებ ერეკლეს ინგლისიდამ წერილებიც მოუვიდა. ინგლისი აცხადებდა, რომ მეც თანახმა ვარ მაგ აზრისაო. ამ საქმის შესახებ შამირას რუსის იმპერატრიცა ეკატერინესთანაც ჰქონდა მიწერ-მოწერა და, როგორც ქრისტიანეთა მეფეს, იმასაც სთხოვდა მონაწილეობა მიიღე ამ საქმეშიო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ინდოეთიდამ შამირამ [illegible] ფის სამოსელი, რომლის ფასიც მეტად დიდი ყოფილა. ერეკლეს ამის სამაგიეროდ შამირასთვის უჩუქებია მთელი ლორის მაზრა, რომელიც ამ დროს ორბელიანებისთვის ჩამოურთმევია.

ამ საქმის გამო ლაპარაკი შეწყვეტილა დროებით. ბოლოს ეს სომხურად დაბეჭდილი წიგნი მოსვლია მეფე ერეკლეს. ამავე დროს ერთი ეგზემპლიარი შამირას კათალიკოზისთვის გაუგზავნია და ერთიც ეკატერინე იმპერატრიცასთვის. წიგნი საკმარისად სქელია და აწერილია შიგ, თუ ამ ორის ერის სამეფო როგორ უნდა დაეარსებინათ, ჯარი როგორ უნდა შეენახათ, მათი ტანთსაცმელი როგორი უნდა ყოფილიყო და სხ. და სხ. ბ-ნ შამირის ამ წიგნისა დაუბეჭდია სულ 100 ცალი. ამათში გადარჩენილა მხოლოდ ის სამი წიგნი, რომელიც შამირას აქეთ გამოუგზავნია, დანარჩენს-კი ცეცხლი მოსდებია და დამწვარა.

*** ჩვენ მივიღეთ ზაქარია ჭიჭინაძის-მიერ ახლად დაბეჭდილი წიგნი «ოქროს ხოხობი“, მოთხრობა დ. დათოშვილისა. ეს მოთხრობა ისტორიულის შინაარსის მოთხრობაა და შიგ ნაამბობია, როგორ განთავისუფლდა მეშვიდე საუკუნეში საქართველოს ეკკლესია ანტიოქიის პატრიარქის მორჩილობისაგან და როგორ დაწესდა ჩვენში დაუმოკიდებელი, ავტოკეფალი ეკკლესია კათალიკოსობითურთ. მოთხრობა პატარაა, სულ 16 გვერდს შეიცავს. [illegible] მცირე ადევს. ამ მოთხრობის დამბეჭდელს, როგორც სჩანს, განუზრახავს ყოველ თთვე და თთვე თითო ამისთანა პატარ-პატარა წიგნი ჰბეჭდოს და შიგ მოაქციოს ნაწერები ჩვენის მწერლებისა იაფ ფასად გასასყიდად ამ საზოგადო სახელწოდებით „ქართული სახალხო ბიბლიოთეკა“-

◆◆

ფელეტონი

სიმღერა

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მეხვევა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკვთილ-დღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა;
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა.
ეხლა თავ-თავქვე მოვდივარ,
ხევში მიმელის ბნელია,
თან მიმდევს ფიქრი მწუხარე
გულის, გონების მწველია.
მაღლიდამ დაბლა ჩამოსვლა
ვაჰმე რა მეტად ძნელია!
წამლობას ვეღარ გამიწევს
ეხლა ცრემლები ცხელია.
რად მოვალ, თავქვე რად მოვალ,
ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?
იმ მთას თავს რისთვის ვანებებ,
თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად!

ვაჟა-ფშაველა

◆◆

მარტოობა

(გიუ დე-მოპასანისა)

ეს ამბავი ერთს ამხანაგურს სადილს შემდეგ მოხდა. ყველანი მხიარულად ვიყავით. ერთმა ჩვენთაგანმა, ჩემმა ძველმა მეგობარმა, მითხრა: არ გინდა ელისეის მინდვრისკენ გავიაროთო? მეც დავეთანხმე და ნელის ნაბიჯით გავუდექით ერთ-პირად გამწკრივებულს ახლად შეფოთლილს ხეებს გვერდით. ირგვლივ სამარისებური დუმილი ჰსუფევდა, მხოლოდ შორიდგან შეუსვენებელი და დაუსრულებელი პარიჟის გუგუნი მოისმოდა. საამური ნიავი შუბლს გვიგრილებდა. ცის კამარა უთვალავის მოციმციმე ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. დიდხანს დავდიოდით ჩუმად, ხმა-ამოუღებლივ.

— არ ვიცი, ღამე აქ ყოველთვის თავისუფლად რად ვსუნთქავო, სთქვა ჩემმა თანამგზავრმა. თითქო აზრიც უფრო მიფრთოვანდება, გონება ნათლით მემოსება და გულში რწმენა მებადება, რომ ახლა კი შევიძლებ ყოველისავე ღვთაებრივის საიდუმლოს შეტყობასაო. უცებ ყოველივე ბუნდმა მოიცვა და სიზმარივით გაჰქრა.

ჩემი თანამოგზაური ისევე დაჩუმდა. ჩვენ წინ არა ერთი და ორი წყვილად მსხდომი აჩრდილი გამოჩნდებოდა ხოლმე. სკამებზედ შეყვარებულნი ისხდნენ და შავ აჩრდილად მოჩანდნენ.

— უბედურნი, სთქვა კვლავ ჩემმა თანამოგზაურმა: ამათი ბედი-კი არა მშურს, პირ-იქით უსაზღვროდ მებრალებიან. შევიგნე კაცის სიცოცხლის გამოურკვეველი საიდუმლო და კარგადა მაქვს გათვალისწინებული, რაშიაც მდგომარეობს უდიდესი უბედურება ადამიანისა. ეს უბედურება ჩვენი მუდმივი მარტოობაა, თუმცა ყოველი ჩვენგანი იმის ცდაში ვართ, რომ როგორმე თავი დავაღწიოთ მარტოობას. ეს შეყვარებულნიც, როგორც ჩვენა და ყოველი სულდგმული, სცდილობენ ერთს წამს მაინც არის არ იგრძონ მარტოობა, მაგრამ მაინც ყოველთვის მარტონი არიან ჩვენსავით. სამწუხაროა, რომ ეს ჭეშმარიტება ყველას ერთგვარად არა აქვს შეგნებული...

რაღაც აუტანელს ტანჯვას ვგრძნობ, როცა-კი წარმომიდგება საშინელი მარტოობა, რომელიც ბედმა მარგუნა, და რომელიც ვერაფრით მოვიცილე თავიდგან. გესმის, ვერაფრით! რა გვარადაც უნდა ვეცადნეთ, რაც გინდა თავი ვიმტვრიოთ, რა ძლიერაც უნდა გაგვიტაცოს გულმა, სიყვარულმა და აღზნებულმა ხვევნა-კოცნამ, მაინც სულ ამაოა, ამაო იმიტომ, რომ მარტონი ვართ. აი, ეხლაც წამოგიყვანე აქეთ სასეირნოდ, იმიტომ-რომ შინ წასვლისა მეშინოდა. ჩემის ოთახის მარტოობამ ცოტა ნაღველი მასვა. მაგრამ რა მალამოს დასდებს ეს სეირნობა? მე ვლაპარაკობ, შენ ყურს მიგდებ, მაინც-კი ორივენი მარტონი ვართ. მივდივართ მხარი-მხარ და არა ერთად. ნუ თუ არ გესმის, რაც მინდა ვსთქვა? „ნეტარ არიან გლახაკნი სულითაო“, ამბობს სახარება. ისინი ბედნიერების ოცნებაში არიან, ვერა ჰგრძნობენ მარტოობის სიგლახაკეს, ცხოვრებაში ჩემსავით არ დაეხეტებიან. დიაღ დავეხეტები და იმის მეტს ვერასა ვხედავ, რომ ადამიანები უცებ შეხვდებიან ხოლმე ერთმანეთს, ბედი და უბედობა მოულოდნელად ატყდებათ თავს. პირადის ბედნიერების მეტს სხვა სიხარულს არასა ვგრძნობ. ერთის სიტყვით, ვარ ჩაფლული გამოურკვეველ სიმარტოვის ამოცანაში.

— იქნება ჭკუა შერყეული გგონივარ! ასეა განა, გამომიტყდი. მაგრამ გთხოვ, ჯერ მომისმინო.

მას შემდეგ, რაც მარტოობა ვიგრძნე, უნდა ვაღიარო, რომ დღითი-დღე რაღაც უკუნეთში ვიმყოფები, უკუნეთში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, და არც გამოსასვლელი. ირგვლივ არარაობის მეტს არასა ვხედავ, ქვესკნელს ვეფლობი და ერთი სულიერიც არ მაცილებს ამ საშინელს გზაზე. ეს ქვესკნელი იგივე ცხოვრებაა. დრო-გამოშვებით შემომესმის ხოლმე გრგვინვა, ყვირილი, რაღაცა ძახილი და ხელების ფათურით მიველტვი იქითკენ, თუმცა ვერ გამიგია, ნამდვილად რომელ მხრიდგან ისმის ის ხმა. გზაზედ არავინ მხვდება... ერთის სიტყვით, ამაოდ ვაფათურებ ხელებს ჯოჯოხეთისებურს წყვდიადში. ხომ მიმიხვდი, რის თქმაც მინდა? ზოგიერთმა ადამიანმა შეიგნო და გამოიცნო ეს საშინელი ტანჯვა. მიუსე ამბობს: „ვის ვხედავ? ვინ მეძახის? „არავინ! მარტო ვარ“. საათმა თუ დაჰკრა! მარტოობა!.. ოხ, სილატაკევ, რა ძნელი ხარ..“ ამბობს ამას, მაგრამ ეს მხოლოდ იმისი ეჭვია და არა რწმენა. პოეტი იყო და იმისი ცხოვრება სიტკბო-სიმწარით მრავალფეროვანობდა. იგი არას დროს არა ყოფილა მარტო, მაგრამ მე, მე-კი მარტო ვარ.

ფლობერი, ეს ცხოვრებისაგან ნაწამები ადამიანი, ერთი თავის მეგობართან მიწერილს წერილში ამბობს: „ჩვენ ყველანი უდაბნოში ვცხოვრებთ. ერთმანეთისა არავის არა გაეგება-რა. რაც უნდა ვეცადოთ, რაც უნდა თავი ვიხეთქოთ და რაც უნდა ვილაპარაკოთ, ჩვენ მაინც ერთმანეთისას ვერას შევიგნებთ, განა იცის რამე დედამიწამ, თუ რა ხდება იმ ვარსკვლავეთა შორის, რომელთა უმრავლესობასაც თვალით ვერა ვხედავთ? იქნება ყველა ვარსკვლავი ერთმანეთში ისეა დახლოვებული, რომ ერთ დიდ-სხეულს შეადგენს, მაგრამ ჩვენის თვალისთვის მაინც დაფარულია. ესვე ითქმის ადა

⁂ ახალციხე: აქაურს საქალაქო სასწავლებელში ეს მეორე თვეა ქართულს ენას აღარ ასწავლიან. არ ვიცით, რა უნდა იყოს ამის მიზეზი.

⁂ ფოთი: ქიათურის ქვა-გუნდა აგერ 5 მილიონი ფუთი გაჰგზავნეს აქედამ. გასაგზვნელია კიდევ სამ-მილიონ ფუთამდე.

⁂ ჩვენ მივიღეთ ზაქარია ჩხიკვაძისაგან 16 მან. და 65 კაპ., თელავში მის მიერ შეკრებილი დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ შემომწირველთა შემდეგის სიითურთ:

თ. ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი—3 მან., შიო შიუკაშვილი—2 მან., თ. სვიმონ ვეზირიშვილი—1 მან., თ. ნოდარ ჯორჯაძე—1 მან., თ. გიგლო რუსიევი—1 მან., თ. სოსო რუსიევი—1 მან. და 25 კაპ., მიხეილ ანდრონიკაშვილი—1 მან., მღვდელი იოსებ ჩიკვაიძე—1 მან., მიხეილ ცისკარაშვილი—1 მან., იოსებ ბალდოევი—1 მან., ვასილი ბარნოვი—1 მან., მურადიანი—1 მან., მიხაკო გორდაძე—50 კაპ., ქრისტეფორე ზარაფიშვილი—30 კაპ., იოსებ რაზმაძე—20 კაპ., მიხეილ საყვარელიძე—20 კაპ., ლადო სიმონაშვილი—20 კაპ.,

სულ 16 მან. 65 კ.
დღემდე იყო 1122 მან. 75 კაპ.,
შესდგა ამინად 1139 მან. 37 კაპ.

⁂ თ. ლ. დ. ვიაზემსკი, საუფლისწულო მამულების გამგე, ამ ქამად ტფილისში იმყოფება ხელმწიფის კუთვნილ ერთის მამულის დასათვალიერებლად. გაზ. „Тиф. Лист.“-ის [illegible] რომ მთავრობისათვის რამდენიმე მამული შეიძინოს ამიერ-კავკასიაში. ერთი ამ შესაძენ მამულთაგანი ბორჩალოს მაზრაში იმყოფება და პატრონი აფასებს 1.500,000 მან. თ. ვიაზემსკის თანვე ახლავს კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საყიდელი მამული და დააფასოს. თვით ყიდვისა თუ არა-ყიდვის საქმე-კი პეტერბურგში უნდა ვადასწყდეს.

⁂ გაზ. „Тиф. Листокъ“-ს სწერენ ბათუმიდამ, რომ აქაურის საქალაქო გამგეობის წევრად, რიგით გასულის შადინოვის მაგიერ, არჩეულ იქმნა ფერემუზოვი, თუმცა კანდიდატები სხვაც ბევრნი იყვნენ და ყველას ეგონა, აირჩევდნენ ამ კანდიდატებში ან მ-ს და ან ბ. წ-საო.

⁂ რუსეთის გაზეთებში სწერენ, რომ მერმისათვის მთავრობამ გადასდო ტფილისის თეატრის შესაწევრად 42,195 მან., ხოლო ტფილისის სამუსიკო სკოლისათვის 5,000 მან.

⁂ გუშინ-წინ, 11 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში გარჩეულ იქმნა საქმე კერძო ვექილის პლიუშჩევკისა და გაზ. „Нов. Обозр.“-ეს რედაქტორის უსპენკისა, რომელსაც პირველი აბრალებდა, რომ ცილი დამწამა გაზეთში ვაჭარის მანის საქმის გამოო. საქმის განხილვამ დიდხანს გასტანა და ბოლოს სასამართლომ სრულიად გაამართლა რედაქტორი გაზ. ›Нов. Обоз.“-ესი, ბ-ნი უსპენსკი.

⁂ რუსეთის გაზეთები სწერდნენ ამას წინად, რომ საქართველოს ეგზარხოსი პალლადი მთელს ზამთარს პეტერბურგს დარჩებაო. გაზ „Нов. Обозр ›-ე ამბობს ახლა, რომ ეს ხმა ტყუილია და მისი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობა ამ თვის გასულს დაბრუნდება საქართველოშიო.

⁂ „Нов. Обозр-“-იე ამბობს, რომ მერმის შესრულდება 50 წელილია კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფს თ. დონდუკოვ-კორსაკოვსაო.

⁂ ამ თვის 12, ღამით ოლგას ქუჩაზე, სარაჯოვის არყის ქარხნის მახლობლად იპოვნეს ოთხის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ 11 ოქტომბერს ჯარის კაცთა ვიწრო ქუჩაზე მცხოვრებელმა ქვრივმა გენერალ მაიორისამ ვიკენტია რუნოვსკისამ გამოაცხადა, რომ ჩემის დაკეტილის კამოდიდგან 338 მანეთამდე ფული და ნივთეულობა მოუპარავთო. ეჭვი არავისზე არ გამოუცხადებია.

⁂ ამ თვის 12, ვანქის ტაძრის მახლობლად მტკვარმა გამორიყა გვამი ვიღაც დამრჩვალის კაცისა. დამრჩვალი, როგორც ეტყობა, 40 წლისა უნდა იყოს და შავი პალტო აცვია. დამრჩვალის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

⁂ 10 ოქტომბერს პოლიციის მერვე ნაწილში სოფ. სპაგას მცხოვრებელს სპირიდონ შარაბაძეს მოჰპარეს ყუთიდგან 73 მან. ქამრის ვერცხლის ნაჭერი, პურის დავთარი და სხვა საჭირო ქაღალდები. შარაბაძემ ქურდობა თავის მამას და იმასთან მომუშავეთ მალხაზ კაციტაძესა და გიორგი პომიაძეს დააბრალა. დანაშავეთ ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს.

⁂ ამავე დღეს სამკურნალოს მღვდ. ნესტორ მაჭარიშვილმა გამოაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ სოფ. ფაშვას მცხოვრებელმა იოსებ დოქვაძემ ოთახის ალაგების დროს 60 მან. ღირებული ორი ანაფორა და ორიც კაბა მომპარაო.

◆◆

დაბა ჲ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი ბექანიანი. (თელავის მაზრა); სხვა სიკეთე რამ ბრძანეთ, თორემ წყლის სიუხვე-კი დიდია ჩვენში. ორის მხრით, აღმოსავლეთითა და დასავლეთით ჩამოუდის ორი მდინარე; ამ მდინარე წყლებიდგან სოფელში გამოჰყავთ ორი რუ, რომლებზედაც არის გამართული და მუშაობს თხუთმეტამდე წისქვილი; სხვა სოფლებში რომ წისქვილები მოსცდეს, აქ არა დროს არ მოსცდება. მთელის ქიზიყისა და [illegible] სულ ბექანიანის წისქვილებს მიაწყდება ხოლმე ზაფხულსა და შემოდგომაზედ; შესანიშნავი ჩვენს სოფელში კიდევ სწორე ქუჩებია; თავსა და ბოლოს რომ კაცები დადგნენ, ერთმანეთს კარგად დაინახავენ, რადგანაც ქუჩები სრულიად არ არის აქეთ-იქით მიხრილ-მოხრილი. ქუჩებში აქეთ-იქითიდგან პატარა წყლები ჩამოუდის ჩხრიალით. აქაური წყალი საზოგადოდ ძალიან სასიამოვნო სასმელია და თან მოტკბო; მცოდნე კაცები ამბობენ, რომ ამ წყლის სათავეში უეჭველად იქნება რამე იმისთანა ნავთიერება, რომელიც ატკბობს ასე წყალსაო. ჰავაც კარგია ამ სოფელში. ამის გამო, ღვთის მადლით, იშვიათად ეწვევა ხოლმე ბექანიანის მცხოვრებლებს რომელიმე ავადმყოფობა. მთელი სოფელი სავსეა ბაღებით, ასე რომ უცხო კაცს, რომ შეხედავს პირველად, სოფელი-კი არა, ტყე ეგონება, რადგანაც ხეხილების სიხშირისგან სახლები სრულიად არა სჩანს. სცხოვრებს აქ ხუთას კომლამდე გლეხი, აზნაური და თავადი. აქაური გლეხობა შეძლებითა და გამრჯელობით არ ჩამოუვარდება სხვა ახლო-მახლო სოფლის გლეხებს; სხვა სოფლის ხალხს რომ მოსავალი არ მოუვიდეს, აქაურ ხალხს უეჭველად მოუვა, რადგან წყალი უხვია და უხვადაც ირწყვის მინდორ-ველი. თუ სეტყვამ არ გვაზარალა ხოლმე, გვალვა ვერაფერს გვაკლებს. წლევანდელის პურისა, სიმინდისა, ფეტვისა და ქერის მოსავალი კარგი იყო, ასე რომ პური ძალიან იაფად იყიდება; ღვინის მოსავალიც, ღვთის მადლით, კარგია. ვენახების კრეფა აქ კიდეც გაათავეს ენკენისთვის 10-მდე. წელს ძალიან ადრე შემოვიდა ყურძენი. საუბედუროდ, როგორც შარშან იყო ღვინის მუშტარი არეული, წელს ისრე არ არის და არ ვიცით შემდეგ ეწვევიან თუ არა სირაჯები ჩვენს სოფელს.

თუმცა სოფელი ძლიერ დიდია და მდიდარი ხალხიც ჰყავს, მაინც სკოლა-კი ჯერაც არა აქვსთ აქაურებს. [illegible] გულ შემატკივარის კაცის უყოლობაა. არც თავად-აზნაური და არც მღვდელნი, რომელნიც აქ ორნი არიან, არა სცდილობენ და არა თავობენ ამ კეთილს საქმეს.

ჩვენს სოფელში ძლიერ გახშირებული იყო აქამდისინ და ეხლაც არის ქურდობა და კაცის კვლა. აქ შესდგა ამას წინად დასი ქურდებისა, და მიჰყო თავის საძაგელს ხელობას ხელი. სოფელი ამათგან არი დაღუპული და გაციებული. ზოგს კამბეჩები, ზოგს ხარები და ძროხები, ზოგს ცხვარი, და თხა, ზოგს აბრეშუმი და ინდაური, მოჰპარეს და ზოგს კიდევ სახლებს და შენობებს უწვავენ; აუღიათ თავზედ ხელი და სწვავენ შეურალებლად აქაურს გლეხობას; რამდენჯერმე კიდეც მოახწრეს, მაგრამ ვერ გატეხეს ქურდობა-ავაზაკობაში. ვაი იმას, ვინც გამოაჩენს ამ კოხტა ბიჭების ავაზაკობას, ბარემ გამოეთხოვოს თავის ცოლ-შვილსა და ნათესავებს.

დადგა ახალი მამასახლისი და მისი ნაცვალი და სცდილობენ ამ ავაზაკობას როგორმე ბოლო მოუღონ. ამათ მოუმატეს ღამის ყარაული, აუკრძალეს მედუქნეებს ღამე დუქანში ქეიფი და სმა ღვინისა; ხუთიოდე წევრი ამ დასისა კიდეც გადაასახლეს ბექანიანიდგან; დარჩნენ სამნი-ოთხნი, რომლებიც ყურებ ჩამოყრილნი დადიან; ეტყობათ, რაც ახალი მოხელეები დადგნენ, ველარას ახერხებდნენ სოფლის საზიანოდ. იმედია, რომ ახალი მოხელეები სოფლისა არ დაიშლიან თავიანთ ფხიზელს ქცევასა და გულ-მოდგინედ შეუდგებიან ავაზაკობის ამოფხვრას; სიფხიზლე საჭიროა მით უფრო, რომ ეს სოფელი საზღვარია კახეთისა. ამ სოფელს იქით, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ქრისტიანი ხალხი აღარა სცხოვრებს, იწყება ლეკებისა და თათრების სოფლები. აქაურს ნაცვალს მამასახლისისას, როდესაც მამასახლისის მოვალეობას ასრულებდა და სამის დღის მიღებული მენდალი ჰქონდა, გაუკაჰეს ვენახში სამასი ვაზი ავაზაკებმა. კარგი იქნება, რომ ნაცვალმა ამ შემთხვევის გამო არ აიცრუოს გული სოფლის საქმეზე და არ შეშინდეს. მარიამობის თთვეში უეცრად მხარზედ ნაკიდები თოფი ჩამოუვარდა ძირს, გაუვარდა და ტყვია ეცა თითონ თოფის პატრონს, აქაურს გლეხს ნატროშვილსა, რომელმაც მაშინათვე განუტევა სული.

ბექანიანში მცხოვრებელი გლეხი
ალექსი ლ—ძე

◆◆

მიანის შესახებაც. ერთმა ადამიანმა, რა იცის, რა ხდება მეორის სულსა და გულში? ჩვენ უფრო განშორებული—განცალკევებულნი ვართ ერთმანეთზე, ვიდრე ის ციური მნათობნი, იმიტომ-რომ ჩვენი აზრი, გულის ნადები საუკუნო საიდუმლოდა რჩება, განა იმაზედ უარესი-ღა იქნება რამე, რასაც ჩვენ ორის ადამიანის ერთ ადამიანად შეერთებას ვეძახით. ჩვენ გვიყვარს, ჩვენ ერთად ვართ შებოჭილნი, ურთიერთის ხვევნას დავნატრით და მაინც-კი ვერ შევერთებულვართ. გვტანჯავს სურვილი შეერთებისა, მაგრამ შეიძლება-კი განა იმ სურვილის დაკმაყოფილება?.. ტყუილია და სიცრუეა, როცა თავ-დავიწყებულს სიყვარულზედ იტყვიან ხოლმე რასმე, სიცრუეა თვით ხვევნა და ალერსიც. ერთის სიტყვით, შეერთების სურვილით გატაცებულნი ჩვენ მხოლოდ ერთმანეთს შევხვდებით ხოლმე.

არას დროს ისე არა ვგრძნობ ჩემს სიმარტოვეს, როგორც მაშინ, როცა-კი მეგობარს მინდა გადავუხსნა გული! მაშინვე განშორების სურათი ამეხიდება ხოლმე თვალ-წინ და მაწყევლინებს ყველასა და ყველაფერს. მერე ეხლაც თვალ-წინ მიდგას იმისი ჩემსკენ მოქცეული ბრწყინვალე თვალები, მაგრამ იმის გულის საიდუმლო-კი არ ვიცი. როგორ შევიტყო, რასაც ჰფიქრობს ჩემს შესახებ? დიაღ, ღას ჰფიქრობს რა აზრისაა? ვეჯავრები, თუ სასაცილოდ ვეჩვენები? ჭკვიანი ვგონივარ, თუ უუმტკნარესი სულელი?...

როგორ შევიტყო იმისი აზრი? როგორ დავრწმუნდე, ვუყვარვარ იმასაც ჩემებრივ, თუ არა? რა ჰმარხია იმის გულში, რა იფარება? სწორედ რომ ძლიერია ადამიანის გულსა და გონებაში ჩაფლული საიდუმლოება და იმის გამოცნობა ჩვენ არ ძალგვიძს, რადგან ამისი ძალა და ღონე არ შეგვწევს. მსურს მთლად ვენდო, განვუზიარო, გადუშალო სული და გული, მაგრამ არ შემიძლიან ეს. ჩემს „მე“-ში არის ღრმად მიმალული ერთი პაწაწა კუთხე, სადაც ვერა ჩაღწევს-რა, ვერავისი თვალი და ყური ვერ ჩასწვდება. გესმის კარგად, რასაც გელაპარაკები? არა, შენ მე გიჟად მსახავ; ჩამცქერიხარ და თითქო მერიდები კიდეც. ეკითხები შენს თავს: რა მოუვიდა დღეს ამ კაცსაო!“, მაგრამ თუ ოდესმე მიჰხვდები, ან გამოსცდი ჩემს მდგომარეობას, გთხოვ მომიგონო და სთქვა, „ახლა-კი მიჰხვდი, რასაც ამბობდა-თქო!

ქალებმა უფრო კარგად შემაგნებინეს სიმარტოვე. ოჰ, ღმერთო! როგორ ვიტანჯებოდი იმათის წყალობით, თუმცა სულ იმასა სცდილობდნენ დაერწმუნებინეთ როგორმე, რომ მარტო არა ხარო! როცა სიყვარულითა ხარ გატაცებული, გონება გიფრთოვანდება, რაღაც უმაღლესი ძალა შეჰბოჭავს ხოლმე მთელს შენს არსებასა და არ-კი იცი, რა გემართება?.. იცი მერე თუ საიდგან წარმოსდგება ეს ენით გამოუთქმელ ბედნიერების გრძნობა? იქიდგან მხოლოდ, რომ მაშინ შენს თავს მარტოდ არ გრძნობ, ასე გგონია, სხვასთანა ვარ სულითა და გულით შეერთებულიო, მაგრამ რა ტყუილი ოცნებაა! ერთის სიტყვით, სიყვარული მთლად ჰკურნავს ობოლს სულსა და გულს, მაგრამ... მაგრამ თვით დედაკაცი-კი სიცრუითა და ოცნებითა არის სავსე. რასაკვირველია, გეხსომება ის ძვირფასი წამი, როცა საყვარელს არსებასთან იყავ, თვალებში ჩასცქეროდი, იმისი ანგელოზებრივი ხმა გესმოდა, იმისი მშვენიერი თმა-ნაწნავი გეხვეოდა და თავბრუ გესხმოდა. ქვეყნიერობა მთლად დავიწყებული გქონდა და რაღაც გამოურკვეველ ოცნების მორევში სცურავდი. აი ამისთანა დროს ისა გვაქვს ხოლმე წარმოდგენილი, რომ ერთი წამიც და... შევერთდებითო, მაგრამ ეს გაერთება-კი არას დროს არა ხდება და რამდენსამე ხანს შემდეგ უწინდელზედ მეტად ვგრძნობთ მარტოობის სიმწვავეს. ყოველ ხვევნა-კოცნის მოგონება ერთი ორად აორკეცებს ჩვენს სიმარტოვეს და შეუბრალებლად გვიდაგავს გულს.

ტყუილად-კი არა სთქვა სიული პრუდომ: ალერსი წამიერი აღგზნება განცხოველებაა და ამაო ძალდატანება საბრალო სულისა, რომელიც სცდილობს შეერთდეს, ხორცის შემწეობითაო“... და შემდეგ... ერთს წუთს უკან კარგად აღარც-კი გვახსოვს ის დედაკაცი, რომელსაც რამდენისამე წამის წინ მთელს სამყაროდაც არავის დავანებებდით. რასაკვირველია თვით იმ საათს, იმ წამს, როცა დედაკაცი იდუმალად თანაგიგრძნობს, შესაძლებელი რომ იყოს იმის სულსა და გულში ხელის მორევა, საკმარისია ერთი, მხოლოდ ერთი სიტყვა, რომ ვიგრძნოთ ჩვენი დაბრმავება და იმ უკუნში ნათლად დავინახოთ, რა დიდი მანძილიც არის ჩვენს შორის. თუმცა ასეა, მაინც იმაზე საუკეთესო არაფერია, რომ საყვარელს ქალს ახლო გაატარო მთელი საღამო. ხარ ჩუმად, შეჰყურებ და ჰკმაყოფილდები, რომ ჩემს ახლოაო. ან-კი შეუძლებელს როგორ შეიძლებ და რა გზით შეაძლებინებ: ორის ადამიანის ერთ სულ და ერთ გულ გარდაქმნას

ჩემს შესახებ-კი ის უნდა გითხრა, რომ მე უკვე დავყარე ფარ-ხმალი და გულს კარი გამოუხურე. აღარავის ვუზიარებ არც ჩემის გულის ნადებს და არც სიყვარულს. რაკი ვიგრძენ და შევიგნე ჩემი სიმარტოვე, ნება-უნებურად ჩუმად შევყურებ ყველასა და ხმა გაკმენდილი ვარ! რა საქმე მაქვს სხვის ან დარდთან და ან სიხარულთან! უძლური უსათუოდ სხვასაც გაუნაწილებს თავის ავ-კარგიანობას, მაგრამ მე-კი შორს და განზედ ყოფნა ვირჩიე. ყოველთვის მზადა მაქვს პასუხი იმ უარზო არ-მკითხებისათვის, რომელნიც ყოველ დღე გარს მელტვიან, მაგრამ არ მიყვარს უბრალო ლაპარაკი და მეტის ღიმილით თავს ვუკანტურებ, ვითომ-და ვეთანხმები. გესმის რასაც ვამბობ?..

ამ ლაპარაკით თანხმობის მოედანთან მივედით. ჩემი თანამოგზაური მაინც არ სწყვეტდა ლაპარაკს, მაგრამ ისე დაბლა და ნელა ლაპარაკობდა, რომ ყველა მისი ნათქვამი არ დამახსოვდა. უცებ გაიშვირა ხელი ძეგლისაკენ და წამოიძახა: „შეჰხედე... აი ჩვენც ყველანი ისე უენონი ვართ, როგორც ის ძეგლიო“! სთქვა ესა და გამშორდა.

რა დაემართა? სიმთვრალით მოსდიოდა? ჭკვაზე ხომ არ შესცდა? ჭკუიანობა იყო, თუ უჭკუობა? არ ვიცი აქამდისაც ვერ გამომიცვნია. ხან ვამბობ, მართალს ამბობდა-მეთქი, და ხან-კი—ჭკუა შეშლილად მიმაჩნია.

ი. კახელი

ქართველთა წიგნების გამომცემ ამხანაგობას

> „О дѣти, дѣти,
> Какъ опасны ваши лѣта“!

„ამხანაგობას“ და არა „გამგეობას“, ვინაიდგან ამ უკანასკნელთან ლაპარაკიც არა ღირს. ბატონო ამხანაგებო, მე თქვენ გკითხეთ და კვლავ გკითხავ, რად არ ინებეთ მიგეღოთ ჩემი წვლილი საზოგადო სალაროში? პასუხად ამისა გამგეობა გაიძახის: ჩვენი რა ბრალია, ჩვენ რა ვქნათ, ამხანაგობამ კენჭი გიყარა და არ მიგიღოვო. ასეთი პასიხი გამგეობისა „არ ახალია, ძველია“, რადგან ჩემს წერილში იყო ნათქვამი: „გამგეობა თუთიყუშურად გაიძახის: ჩვენი რა ბრალია, კენჭი გიყარეთ და არ მიგიღეთო. კი, ბატონო, არ მიმიღეთ, ეგ ცხადია; გარნა რად არ მიმიღეთ, ეს გამოურკვეველი რჩება. გამგეობას რომ დავეკითხოთ, გვეტყვის, რომ „გამომცემელი ამხანაგობა დარწმუნდა“ ჩემს ავ-კაცობაში და მიტომ არ მიმიღო“. ამავე დროს იგივე უსუსური გამგეობა ლაპარაკობს რაღაც „улож. о наказ.“-იზედ. თუ კი ამ ყრმათ ესმოდეთ ეს „ულოჟენიე“, რასაკვირველია, არ ახსენებდნენ მას. ამასაც თავი დავანებოთ, ასეთი მასლაათი შორს წაგვიყვანს. დიდი წერილი გამგეობისა უსუსურობის და უვიცობის ნაყოფია. მან, გამგეობამ, ვერ შეიგნო შინაარსი ჩემის წერილისა და ნაცვლად პასუხისა მოჰყვა უთავბოლო ბოდვას. ჩემი საკითხავი იყო და არის, კვლავ გავიმეორებ, შემდეგი, რა მიზეზით, რა საბუთით „ამხანაგობამ“ არ მიმიღო მე უბრალო წევრად, როდესაც „ხორმეისტერები“ და მისი მზგავსები არა თუ წევრად, გამგეობადაც ჰყავს? მე მეუბნებიან: კენჭი ვყარეთ და არ მიგიღეთო. კი, მაგრამ კენჭმა შეიძლება გაგამართლოთ სასამართლოს წინაშე, ფორმალურის კანონის წინაშე, ხოლო რა გაგამართლებთ სინიდისისა და საზოგადოების წინაშე? სინიდის დაჩქვითებული გამგეობა სცდილობს, დამდოს რაღაც, მხოლოდ მის ოცნებაში არსებული, ბრალი, მაგრამ „ამხანაგობა“ ვით არ უწონებს მას ასეთს უკადრისს საქციელს. უკეთუ მე ცუდი და მავნე კაცი ვარ, რად ვითვლები ეს ათი წელიწადია წევრად ისეთის პატივსადებ საზოგადოებისა, როგორიც არის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“? თუ რომ ცუდი წევრი ვარ საზოგადოებისა, რად ამომირჩიეს ამ დღეებში, ერთხმად, უკენჭოთ დრამატიულ საზოგადოების წევრად? ან, ნუ თუ ის უნდა ვიფიქროთ, რომ გამგეობა და წევრნი ამ ორის საპატიო საზოგადოებისა დაბლა სდგანან ზნეობითა და გონებით „ხორმეისტერთა კრებაზედ“? ალბ. ჯაბადარს და კამპ., რასაკვირველია, შეუძლიანთ იფიქრონ, რომ დიდი ვინმე ბძანდებიან, ხოლო კვლავ ვერ გაგვიგია, რამ მიიყვანა მთლად ამხანაგობა ასეთს ყალბსა და უცნაურს დასკვნამდის? უმაწვილებო, გამოიღეთ ყურიდამ ბამბა და შეიგნეთ, რომ მე გაძლევდით ხუთს თუმანსა და არა გართმევდით! მე მსურდა, დავხმარებოდი თქვენს საქმეს და არა ზიანი მომეცა! უსუსური და საწყალი გამგეობა ლამის ჯვარს ეცვას; თავებს დაიხოცენ, უკეთუ მე წევრათ შევალ მათს საზოგადოებაში. რადა? რისა ეშინიანთ? იმისი ხომ არა, რომ დაეთხოვებიან გამგეობას? ჩემს კისერზედ, ბატონო, თუნდა ქვა ჰკიდეთ, მე მზად ვარ შემოგწიროთ თავი, ხოლო, ეგ თქვენი გამგეობა დამპალ კიტრად არა ღირს და თქვენც მალე დარწმუნდებით ამაში და გაჰკრეკავთ. ამაში ეჭვი არა მაქვს. რისა და ვის ეომებიან ეგ უბედურნი? უკეთუ მე ყოველს საზოგადოებაში მიღებული ვარ, ყოველ საზოგადოების წევრად ვითვლები, რა მოხდა, რომ არ გავხდი ღირსი ამ ახალის საზოგადოების წევრობისა? მე მწამს, რომ შესაძლოა რაიმე შეცდომა მომხდარიყო და მიტომ მიეყარად თვალხუჭურად შავი კენჭი. ასეთის შეცდომის გასწორება ადვილია ყოველის ღირსეულის კაცისთვის. გარნა ამ უცნაურის გამგეობისა და ღირსებას შორის დიდი საზღვარია. შეცდომა ვის არ მოუვა? ხოლო დიდ-სულოვანი და დიდ გულოვანი კაცი, კაცი პატიოსნებით აღჭურვილი, კაცი, ერთგული მოსამსახურე საქმისა და არა თავ-მოყვარეობისა, ადვილად აღიარებს თავის შეცდომას. ასე არ მოიქცევნ მმართველნი და გამგენი ჩვენის ახალის საზოგადოებისა. ამ საპყართ თავისი ლილიპუტებური თავ-მოყვარეობა უზენაესს საგნად უღიარებიათ და ნაცვლად სინანულისა და ბოდიშისა სცდილობენ დამწამონ მე რაღაც მიუტევებელი ცოდვები და საზოგადოებური უზნეობაა „გოგასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებაო“, ტყუილად-კი არ უთქვამთ ჩვენს წინაპართ. სამარცხვინო გამგეობა თავისის უკადრისის ინტრიგის გასამართლებლად მოსჭიდებია ისეთ პატივ-საცემ სახელებს, როგორც ბატონები ილ. ჭავჭავაძე, ნ. ღოღობერიძე, ხასანაშვილი, მარი და სხვ. ამ პატივცემულს პირებთან ერთად მე ვითვლები წევრად „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და რა მოხდა, რომ ამ ახალ საზოგადოებაში-კი არ გამრიეს? მაგრამ, განა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ გამგეობა ტყუილად ჩირქს სცხებს ამ საპატიო სახელებსა და მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ჩემს მიერ მომართულს ინტრიგაში?!. თუ ეს პატივცემულნი ქართველნი ხელს მოუწერენ და მოუწონებენ გამგეობას საქციელს, მე მზადა ვარ, არა თუ დავდუმდე და მუხლი მოვიყარო „ქართველთა წიგნების გამომცემ საზოგადოებისა და მის გამგეობის“ წინაშე, არამედ საუკუნოდ ხელი ავიღო ქართველობაზე. მე ის-ღა დამრჩომია, და სასრულ, რომ მივმართო კეთილ შობილ და სიმართლის მოყვარე წევრთ ამხანაგობისას, წარმოსთქვან თავიანთი აზრი: იყო თუ არა ინტრიგა არჩევანის დროს? ავრცელებდა თუ არა ერთი გამგეობის წევრთაგანი ცრუ აზრებს შესახებ ჩემის პიროვნებისა? დასამრახისია თუ არა ამ შემთხვევაში გამგეობა და მის ამყოლი ამხანაგობა? თუ დასამრახისია, ჩემთვის ეს კმარა, თუნდ რომ „ულოჟენიის“ წინაშე ისინი ათასჯერ მართალნი იყვნენ.

მიხეილ ნასიძე

◆◆

რუსეთი

შინაგან საქმეთა და საერო განათლების მინისტრმა ნება დართეს საბებიო-გინეკოლოგიურ საზოგადოების წევრს, ე. ფ. ბაცევიჩს, რომ გასამეორებელი კურსები დააარსოს ბებიებისთვის პეტერბურგში. ეს კურსები იმ აზრით არსდება, რომ დიდის ხნის სწავლა დამთავრებულს ბებიებს ასწავლონ, რაც მეცნიერებას ახლად გამოუგონია. ლექციების კითხვა საჯაროდ იქმნება და ყურის მგდებელი ბებიების რიცხვიც განსაზღვრება თითო კურსზე 50 ლექსია იქნება წაკითხული. ბაცევიჩი 23 ოქტომბერს აპირობს თავის კურსების გახსნას.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 16 თხოვნა მიუვიდა იმის შესახებ, რომ ნება მოგვეცი, მომავალს 1891 წელს სამეურნეო გამოფენა გავმართოთო. უმთავრესი გამოფენები შემდეგს ქალაქებში იქნება: ნიჟნი-ნოვგოროდსა, ვოლოგდასა, რიაზანსა და კამენეც-პოდოლსკში.

— საფრანგეთში საზოგადოება შესდგა ფულის პატრონებისა, რომელთაც ჰსურთ ნავთის წარმოება დაიწყონ ყუბანის ოლქში. ამ მოკლე ხანში წესდება ამ საზოგადოებისა რუსეთის ფინანსთა მინისტრს წარედგინება დასამტკიცებლად.

— ხოტანისა და კაშკარიიდგან (შუა აზიაში) ამბავი მოვიდა ერთის რუსის მოგზაურისაგან, რომ აქ ინფლუენცია და ზოგიერთი ადგილობრივი სენი მძვინვარებს და ძლიერ ბევრს ხალხსა ხოცავსო.

— გელსინგფორსკის გაზეთები იუწყებიან, რომ ფინლიანდიის სენატს არზა მიართვა „მაცხოვნებელ რაზმის“ საზოგადოებამ და თავის წესების დამტკიცება სთხოვაო. ეს საზოგადოება პირველად ამერიკაში დაარსდა და შემდეგ ფინლიანდიაშიაც მოიკიდა ფეხი. მხოლოდ ერთს ქალაქს გელსინგფორსკში 800 კაცი ირიცხება ამ საზოგადოების წევრად. უმთავრესი წარმომადგენელი და მეთაური ამ საზოგადოებისა ფინლიანდიაში კაპიტანი ბოიე არის. საზოგადოებას საგნად ისა აქვს რომ ცოდვილნი კეთილს გზაზედ დააყენოს. წევრები ამ საზოგადოებისა, ქალებიცა და კაცებიც, განსაკუთრებულის ტანისამოსით დადიან და ქუდებზედაც რაღაც თავისებური ნიშნები აქვთ.

— „Новор. Тел.“-ში დაბეჭდილია შემდეგი საზიზღარი ამბავი შვილისგან დედის მოკვლისა. ოდესის სადგურზე მოსამსახურე ხარიტონოვს დროებით სახლის მაგიერ ვაგონი ჰქონია დანიშნული საცხოვრებლად. ამ დღეებში ხარიტონოვის ცოლი წასჩხუბებია თავის დედამთილსა და ჩხუბის დროს ისე მაგრად დაუკრავს გულში ხელი, რომ საწყალი ბებერი გადაქცეულა, რკინის ხარიხაზე დაცემულა და შუბლი გაუხეთქნია. ამ დროს შვილიც შინა ყოფილა და როცა დაუნახავს შუბლ-გახეთქილი დედა, წამომდგარა და უთქვამს, ახლა მე შევუსრულებ, რაც ჩემმა ცოლმა დააკლოვო, დაუკრავს დედისთვის თავში და სული გაუფრთხობინებია. შემდეგ ცოლ-ქმარს აუღიათ მკვდარი, გაუხდიათ ტანისამოსი, გაუბანიათ, ჩაუცმევიათ სხვა ტანისამოსი, ტახტზე დაუსვენებიათ და ზემოდგან შავი წასახური გადაუფარებიათ. მეორე დღეს ხარიტონოვი უფროსს ჟანდარმთან მისულა და უთხოვნია, დედაჩემი მოკვდა და ნება მოგვეცი, დავმარხოთო. ჟანდარმს წინადვე სცოდნია, რომ ხარიტონოვი ცუდად ეკიდებოდა თავის დედასა და დამარხვის ნება არ მიუცია, ვიდრე მიცვალებულს არა ენახაო. მისულა მართლა უნახავს და შეუტყვია, რომ ბებერი ძალად ყოფილა მოკლული. ცოლ-ქმარი ხარიტონოვები ჯერ უარზე დამდგარან, არ მოგვიკლავსო, მაგრამ როცა სისხლიანი ტანისამოსი და ჰრილობები უნახავთ, მაშინ ყველაფერში გამოტეხილან.

◆◆

წვრილი ამბები

შემოიღეს თუ არა გერმანიის ჯარში უკვამლო თოფის წამალი, ქიმიის პროფესორმა შვემბლერმა გამოაცხადა, რომ ეხლა ქიმიკოსები ვალდებულნი ვართ, ისეთი რამ წამალი მოვიგონოთ, რომ ომის დროს უეცრად კვამლის დაყენება შეიძლებოდეს ჯარის ჩუმად აქეთ-იქით წაყვან-წამოყვანისთვისაო. „Taegliche Rundschau“ იუწყება, რომ ამ ნაირი წამალი უკვე მოიგონეს მეცნიერებმა და ამ მოკლე ხანში საჯაროდაც გამოაცხადებენ თავიანთ გამოგონილს კვამლის დასაყენებელს წამალსაო.

— ბელგიის ახალმა კანონმა ნება მისცა ქალებს უნივერსიტეტებში ლექციების ყურის გდებისა, მაგრამ შესრულებით-კი ამ აზრის შესრულება არ შეიძლება, რადგანაც უნივერსიტეტში გათავების კურსის ეგზამენის დროს ქალებს მოწმობასა სთხოვენ საშუალო 6 კლასიან სასწავლებლის კურსის შესრულებისას ლათინურისა და ბერძნულის ენით, თუმცა ამ გვარი საქალებო სასწავლებელი მთელს ბელგიაში არსად არ არის.

— ერთმა გერმანიის საფოსტო მატარებლის მოხელემ ამას წინად იუბილეი გადაიხადა თავის 25 წლის სამსახურისა. ამ ხნის განმავლობაში მეიუბილეს სულ 2.465,000 ვერსი გაუვლია აქეთ-იქით მატარებლით სიარულით.

— ჟიულ სიმონი გაზეთ „Temps“-ში საყურადღებო ცნობებსა სწერს იმის შესახებ, თუ როგორ მოისყიდიდნენ ხოლმე კანდიდატები ამომრჩევლებსა. როდესაც ჟიულ სიმონმა პირველად თავის კანდიდატობა გამოაცხადა, იმისმა მოწინააღმდეგემ შეიტყო, ვის რამდენი ვალი ემართა იმის ამომრჩეველებში და უთხრა, თუ გინდათ, ყველას გასესხებთ ფულსაო. არჩევანების დღეს აღმოჩნდა, რომ 152 ამომრჩეველში 43-ს ვალი ჰმართებოდა ჟიულ სიმონის მოწინააღმდეგესი. მეორე ამ ნაირი ამბავი ჟირონდის დეპარტამენტში მოხდა. იქ ჟიულ სიმონის მოწინააღმდეგე ერთი ღვინის ვაჭარი იყო. ჟ. სიმონი თავის მომხრეებით სოფელ-სოფელ დადიოდა და სიტყვებს ამბობდა, ხოლო იმისი მოწინააღმდეგეკი იმავე სოფლებში მთელის წლის მოსავალს ყიდულობდა. მესამე ამბავი უფრო საყურადღებოა ამაზედ. კანდიდატი გაურიგდა სასტუმროებისა და დუქნების პატრონებს, რაც არჩევანების დროს შემოსავლის იმედი გაქვთ, სულ მე მოგცემთ და მხოლოდ ჩემი მომხრეები მიიღეთ ხოლმე, რომელსაც ჩემი სურათები ექნებათო. ამ კანდიდატის მოწინააღმდეგეებმა, ადგილი თითქმის ვეღარსად იშოვნეს დასადგომად; ვერც საჭმელ-სასმელის ყიდვა შეეძლოთ და ამიტომ იძულებულები გახდნენ, საჭმელი შინიდგან ეტარებინათ და სიტყვებიც გარედ, მინდვრებსა და ქუჩებში, ეთქვათ. სადაც-კი მომსყიდველი კანდიდატი გაივლიდა, მოსყიდული მომხრეები კითომდა თავის ხარჯით ჩირაღდანს გაუმართავდნენ ხოლმე. ერთს ამაზე უფრო შესანიშნავსა და თან სასაცილოს ამბავსაცა სწერს ჟიულ სიმონი. კანდიდატს თავის მამულში ხიდი ჰქონდა გამართული და გასვლაზე კაპიკზე მეტს (5 სანტიმს) იღებდა. იმის მოწინააღმდეგე დაჰპირდა თავის მომხრეებს, ამომირჩიეთ და მაგ ხიდზედ გასვლის ფასს მოგისპობთო. მართლაც იყიდა ხიდს ახლო პატარა ადგილი, ააშენა ორი ქოხი, შიგ კაცები ჩააყენა და უთხრა, გამვლელ-გამომვლელებს ხიდის გადასახადი ფული აძლიეთო. მაგრამ ხიდის პატრონი უფრო ოსტატურად მოიქცა. ხიდის ყურზე გამართა ლექციები რაღაც საგანზე, აუარებელი ხალხი მიიზიდა და ამ გვარად თავის მოწინააღმდეგეს ერთი ათად მეტი ფული დაახარჯვინა, რადგანაც ლექციებზე მიმავლებს უთუოდ ხიდზე უნდა გაეარათ და მაშასადამე ფულიც უნდა მიეღოთ ხიდზე მისაცემად.

— ერთი მკურნალი შეუდგა იმის გამოკვლევას, სად რამდენი ახლად დაბადებული ბავშვი იხოცება, და აი ეხლა რასა სწერს ამ საგნის შესახებ. ნორვეგიაში 1,000 ახლად დაბადებულს ბავშვში 106,3 კვდება, შვედიაში—157, ინგლისში—154, საფრანგეთში —169,1, პრუსიაში—217,7, იტალიაში—220,1 ვენგრიაში—254, ავსტრიაში—258,2, ბავარიაში—317,1, ვიურტემბერგში—329,5.

— მთელს დედამიწის ზურგზე 176 ქალაქია, რომელშიაც 100,000 მეტი მცხოვრებელია. ამათში 25 ქალაქს ნახევარ-ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრებელი ჰყავს, ხოლო ათს სატახტო ქალაქში-კი თითო მილიონზე მეტი მცხოვრებელია სახელდობრ: პარიჟსა, ლონდონსა, ბერლინსა, ვენასა, პეტერბურგსა, პეკინსა, ტოკიოსა, ნიუ-იორკსა, ფილადელფიასა და ჩიკაგოში.

◆◆

გასართობი

მოლა მასრადინა *)

მოლა მასრადინამ ერთხელ თიხის ქილა დანაყა, ჩაჰყარა თოფრაში, გავიდა ბაზრად და დაიწყო ყვირილი: „ვის უნდა თაგვის წამალიო“. ერთმა მეპურემ თითქმის ნახევარი თოფრა იყიდა. მიიღო თუ არა ფული, მოლა საჩქაროდ გაუდგა გზას. მეპურე წამოეწია, შეაყენა და ჰკითხა.

— მასწავლე, როგორ უნდა ვიხმარო ეს წამალიო?

— ძალიან ადვილია მაგის ხმარება, უპასუხა მოლამ: თაგვი დაიჭირეთ და პირში ჩაუყარეთ, მანამ მოკვდებოდესო.

— რას ამბობ, კაცო, თუ დავიჭირ, ხომ ისეც მოვკლავ.

— ეგ უკეთესიო, უპასუხა მოლამ: თაგვიც მოკვდება და წამალიც დაგრჩება.

⁂

მოლას შარა გზაზედ სახედარი მოუკვდა. მასრადინა იქვე ჩამოჯდა და დაიწყო უნუგეშოდ ტირილი. გამოიარა ვიღამაც და ანუგეშა:

— ნუ იკლავ თავს, მოლავ, ალლახი უფრო უკეთესს სახედარს გიწყალობებსო.

— გმადლობ, ძმიაო, უპასუხა მოლამ: მე უკეთ ვიცი ჩემის ალლახის ხასიათი: თხუთმეტ მანეთ ნაკლებ მე ის სხვა სახედარს არას მიწყალობებს.

⁂

ერთხელ მოლა მასრადინა სასაფლაოზედ დასეირნობდა და დაინახა, რომ ოთხი ცხენოსანი უახლოვდებოდა. იცნო, რომ ავაზაკები არიანო, შეეშინდა, ვაი თუ გამძარცვონო, გაიხადა მაშინვე ტანისამოსი, ქვის ქვეშ ამოსდო, თითონ შიშველი ჩამოჯდა ქვაზედ და კანკალ-ცახცახი დაიწყო შიშისა და სიცივისაგან. ცხენოსნები მოუახლოვდნენ და სიბრალულითა ჰკითხეს:

— ამ სიცივეში რასა ჰზიხარ შიშველიო?

— გუშინ გარდავიცვალეო, უპასუხა მოლამ: და ამ სასაფლაოზედ დამმარხეს. აქ იმდენი მკვდარი მევს და ისეთი სივიწროვეა, რომ ადამიანი სულს ვერ მოიბრუნებს; რომ ველარ გავძელ, გარედ გამოვედი წმინდა ჰაერის ჩასაყლაპავად.

---

*) ეს ნაკვესები მოლა მასრადინასი დაბეჭდილია გაზ. „ახ. მიმოხ.“, ერიცოვის ფელეტონებში, ჩვენ გარჩევით ამოვბეჭდავთ ზოგიერთს, უფრო საყურადღებოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავაზაკებს გიჟი ეგონათ და სასწრაფოდ გაშორდნენ.

**

მოლა მასრადინას ერთი მეზობელი ეწვია და სთხოვა, თოკი მათხოვეო.

— არ შემიძლიან, თოკი მე თვით მჭირია, ზედ ხორბალი უნდა დავყაროდ და გავაშროვო, უპასუხა მოლამ.

— აბა ეგ განა მიზეზია, თოკზედ ხორბალი როგორ დაიყრება.

— როცა ადამიანს რისამე უარის თქმა უნდა, ყველაფერი მიზეზიაო, უპასუხა მოლამ.

**

მოლა თავის ქოხში იწვა ერთხელ და ქურდებმა კარებს მტვრევა დაუწყეს. მასრადინამ სული გატრუნა, ვითომ-და არა მესმის-რაო. ამასობაში ქურდები შევიდნენ, გაიტანეს ყველაფერი და გზას გაუდგნენ. მოლაც წამოდგა, აიღო ის ნალი, რომელზედაც იწვა, დაახვია და ნალიანთურთ გაჰყვა ქურდებს. ქურდები მივიდნენ თავის სახლში, ნაპარევი დააწყეს და მოსასვენებლად წამოწვნენ. მოლაც შეჰყვა, თავისი ნალი მირს დააგდო და ჩამოჯდა დასასვენებლად. გაოცებული ქურდები დაეკითხნენ:

— რაო, რისთვის მობრძანდი?

— როგორ თუ რისთვის? განა აქ არ გადმოვედი და ჩემი ბარგი თქვენ არ გადმოიტანეთო? ჰკითხა მოლამ.

◆◆

დეპეშა

10 ოქტომბერი

ბერლინი: (ვოლფის სააგენტო.). იმპერატორმა ბრძანება გასცა, რომ გრაფ მოლტკეს დაბადების დღეს ბერლინის ჯარის ყველა დროშა მეიუბილეის სახლში მიიტანეთ და ამითი ისეთი პატივი ეცით, როგორიც არც ერთის გერმანის ქვეშევრდომისათვის არ გიციათო, წირვას შემდეგ იმპერატორი, მეფე საქსონიისა, დიდი ჰერცოგნი, ბადენისა და ჰესენისანი და ყველა პრინცნი წავლენ გრაფ მოლტკეს სახლში და მიულოცავენ დღესასწაულს.

11 ოქტომბერი

სტამბოლი, პატრიარქის საქმე ჯერ არაფრით არ გადაწყვეტილა.

ათინა. იმის გამო, რომ ოპოზიციამ მანიფესტაცია მოახდინა, აურზაური ასტყდა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი დაიჭრა რევოლვერით. ქალაქში დარაჯი დადის.

ბრესტი. პეტერბურგში რუსეთის ხარჯზედ გაიგზავნა ამფეთქი ბამბა, მოულინ-ბლანკის ქარხანაში მომზადებული.

12 ოქტომბერი

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის თავსმჯდომარეობით ტამოჟნის ტარიფის გადასახინჯად დაწესებულმა კამისიამ დაიწყო თვისი მოქმედება.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ პროექტი საქალაქო დებულების შესაცვლელად და დასამატებლად ამ წელს კი არ იქნება შეტანილი სახელმწიფო საბჭოში განსახილველად, არამედ 1891 წლის დამლევს, ან 1892 წლის დასაწყის.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ოქტომ.

	მყიდველნი. მან. კ.	გამყიდველნი. მან. კ.	გარიგებულნი. მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	— „	6 53
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	130, 87
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— „	— „	1 12
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	229
—მეორისა	$212\frac{3}{4}$	— „	— „
—მესამისა	$213\frac{1}{2}$	— „	211
გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . .	— „	— „	— „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

განცხადებანი:

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება

ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში და სხვა მაღაზიებშიაც ისტორიული მოთხრობა:

ოქროს ხოხობი

დავ. დათოშვილისა

ფასი 5 კაპ.

„ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“

მაღაზიაში ისყიდება შემდეგი

ახალი გამოცემანი:

	მან.	კაპ.
თხზ. ი. დავითაშვილისა (სურათითა და ბიოგრაფიით)	„	80
„დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ (ლეგენდა) ბაჩანასი . .	„	15
ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . - . . .	„	25
არჩილიანი ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება ძველი აღწერილობა.	„	75
სიბრძნე სოლომონ მეფისა (სურათით)	„	15
„მარაბდა“ პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
„წყალობა“ პოემა მისივე .	„	20
შვილის აღზრდა თ. ხუსკივაძისა	„	20
„ვეფხვის ტყაოსანი“ (ჯიბისა).	„	40
„ბატონ - ყმობა საქართველოში“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა	„	50
„ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა	„	20
„ბორკილი“ დრამა 4 მოქმედებად თხზ. სუმბათაშვილისა თარგ. ა. ახნაზაროვისა	„	40
„კიკოლას ნაამბობი“ პოემა აკაკისა	„	20
ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი	1	50

(ლორის-მელიქოვის ქუჩა ზუბალოვის სახლი). (5—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

	მან.	კაპ.
მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა	„	20
თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი	„	40
ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა	„	15
ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა.	„	50
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი	„	15
კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა .	„	20
განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . .	„	60
ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„	25
ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა	„	40
იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა	„	10
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
გრამატიკა ქორდანიასი .	„	55

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური**.

ვინც ერთბაშად **ნაღდს ფულზე** იყიდის **ოც-და-ათს** ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად**.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური**. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს **„დედა ენას“** წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი**.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური**.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის **ათს** ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად**, ვინც ოცსა—**ცამეტ შაურად** და ვინც ოც-და-ათს—**სამ აბაზად**. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური**.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, **გაგზავნის ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

სტამბა

გრიგოლ ჩარკვიანისა

(ტფილისს ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ.)

ვიღებ ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს დასაბეჭდად, საქმის შემომკვეთელს პირობას ვაძლევ სუფთად დაბეჭდვისა და დანიშნულს დროზედ შესრულებისას. ფასი ბეჭდვისა ზომიერია. გარეშეთათვის ადრესი: Г. Тифлисъ Типографія Григорія Чарквіани. (5—5)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.



სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის

არყნის ხის ბალზამი ლორის ლენგელიასი.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად-ერთ აგენტის გასილ აურიხისას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩაზედ, 18—19.

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ლიპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, გ. გრიგნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(19—19)

Доз. цен. Тифлисъ, 12-го Октября 1890 г. Типо-Литографія F. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე